საქართველო
ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

1100 ქ.ბოლნისის, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№106
ტელ.: 0 (358) 22-29-29; ფაქსი 0(358) 22-25-00
bolnisimunicipality@gmail.com

N 11/1717
19/05/2015

1717-11-2-201505191607

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ *ლევან რაზმაძეს*

ბატონო ლევან,

”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 აპრილის N399 ბრძანებით, **საპროექტო მომსახურების (CVP 71320000)** (*ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო გზებზე დაზიანებული ასფალტობეტონის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.)* შესყიდვის განხორციელება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გადაწყდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (ბრძანების ასლი დანართის სახით წერილს თან ერთვის).

”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის N39 განკარგულებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიეცა თანხმობა ზემოაღნიშნული საპროექტო მომსახურების შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (განკარგულების ასლი დანართის სახით წერილს თან ერთვის).

2015 წლის 18 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება (№82/01/15) ზემოაღნიშნული საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე,

”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, გიგზავნით ცნობის სახით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გადაუდებელ აუცილებლობასთან დაკავშირებით.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

გოგი მეშველიანი

გამგებელი